საქართველოს მთავრობის

დადგენილება №50

2013 წლის 7 მარტი

ქ. თბილისი

საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების სამოქმედოდ დაშვების, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების, შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტის საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაშვებისა და ასევე სხვა ქვეყნებში წარმოებული, რეგულირებული სფეროსათვის მიკუთვნებული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე შეზღუდვების გარეშე განთავსების შესახებ

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 103-ე მუხლის მე-4, მე-18, მე-20 და 23-ე ნაწილების შესაბამისად:

მუხლი 1

საქართველოში სამოქმედოდ იქნეს დაშვებული დადგენილების დანართით განსაზღვრულ ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტები.

მუხლი 2

საქართველოში აღიარებულ იქნეს ამ დადგენილების დანართით განსაზღვრულ ქვეყნებში უფლებამოსილი/აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების მიერ გაცემული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

მუხლი 3

ამ დადგენილების დანართით განსაზღვრული ქვეყნებიდან იმპორტირებული და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად რეგულირებულ სფეროს მიკუთვნებული ის პროდუქტი, რომელსაც გააჩნია ამავე ქვეყნების კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისობის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტები და ნიშანდება, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსთვის აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, საქართველოს ბაზარზე განთავსდეს შეზღუდვებისა და დამატებითი (განმეორებითი) შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე.

მუხლი 4

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და მოქმედების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 24 თებერვლის №45 დადგენილება.

მუხლი 5

დადგენილება ამოქმედდეს 2013 წლის პირველი მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი**

დანართი

ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ნუსხა, რომელთა ტექნიკური რეგლამენტები საქართველოში სამოქმედოდ არის დაშვებული

	ქვეყანა	კოდი
1	ავსტრალია	036
2	ავსტრიის რესპუბლიკა	040
3	ახალი ზელანდია	554
4	ამერიკის შეერთებული შტატები	840
5	ბელგიის სამეფო	056
6	დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო	826
7	გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა	276
8	დანიის სამეფო	208
9	ესპანეთის სამეფო	724
10	ესტონეთის რესპუბლიკა	233
11	ისლანდიის რესპუბლიკა	352
12	ირლანდია	372
13	იტალიის რესპუბლიკა	380
14	იაპონია	392
15	კვიპროსის რესპუბლიკა	196
16	კანადა	124
17	კორეის რესპუბლიკა	410
18	ლატვიის რესპუბლიკა	428
19	ლიტვის რესპუბლიკა	440
20	ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო	442
21	მალტის რესპუბლიკა	470
22	მექსიკის შეერთებული შტატები	484
23	ნიდერლანდის სამეფო	528
24	ნორვეგიის სამეფო	578
25	პოლონეთის რესპუბლიკა	616
26	პორტუგალიის რესპუბლიკა	620
27	საბერძნეთის რესპუბლიკა	300
28	საფრანგეთის რესპუბლიკა	250
29	სლოვაკეთის რესპუბლიკა	703
30	სლოვენიის რესპუბლიკა	705
31	უნგრეთის რესპუბლიკა	348

32	ჩეხეთის რესპუბლიკა	203
33	ფინეთის რესპუბლიკა	246
34	შვედეთის სამეფო	752
35	შვეიცარიის კონფედერაცია	756
36	ისრაელის სახელმწიფო	376
37	ჩილე	152